



საქართველო

რეპუბლიკა

მთავრობის მთავრობის, უფლებდლორი განყოფილება

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. ვანცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტეიტის სტრუქტურა 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. საბჭოთაო ვანცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., ვანცხ. საბჭოთაო დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო. უწყ. ვანცხადებანი 120 მ. ნიხია ვანცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-81.

კანტორის აგვან

გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“

კანტორა

უკანასკნელად ახსნადებს ნიხია ხალის მოგზაურ დაწესებულებათა საუბრადღებოთ, რომ 20 ნოემბრიდან გათი გაზეთი მოსაკრებელი იქნ. აღნიშნულ დროგადა უფლი არ უამოიტანას.

სახელმწიფო თეატრი

12 ნოემბერს მის. მორდკინის საბალეტო საღამო.

ქოკელია

13 ნოემბერს ოპერა მუშეზისთვის.

ტანისი

14 ნოემბერს. ქარმენი

15 ნოემბერს ქოტე და ქეთო

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული-რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

შეზათს, ნოემბრის 13-ს მსხვერპლი-- ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. ხიდაშინ-ერისთვის.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. 971 2-1

ფოტის ქალაქის გაგზავლა

ქეებს ქალაქის დაბალ სკოლებისთვის.

ინსტრუქტორი

თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქნას ქალაქის გამგეობის სახელზე. მთხოვნებმა უნდა წარმოადგინოს მომავალ მუშაობის გეგმა cuppicutum vitae და პედაგოგიური სტატი. ჯამაგირი 18.000 მანეთი თვეში. თხოვნების მიღების უკანასკნელი ვადა 15 ნოემბერი.

3602

3-3

ქალაქ ტფილისის გაგზავლა ახით

ასხადებს,

რომ 1920 წელს 12 ნოემბერს პარასკევსა დილის 12 საათზე.

ქალაქის გამგეობის დარბაზში (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) დანიშნულია.

საჯარო ვაჭრობა

ორ სასწორის, რომელიც მდებარეობენ მალაქის და დესიმონოვის მოედანზე იჯარით გასაცემოთ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევს 2-3 საათ. 989 1-1

ოფიციალური განაცხადება.

განკარგულეგანი

მთავრობის თავმჯდომარისა.

7 ნოემბერი, 1920 წ., № 28.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული ქ. ბათუმში და ბათუმის ოლქში ბენიამინ გრიგოლის ძე ჩხიკვიშვილი განთავისუფლებული იქნეს თანამდებობიდან ამა წლის 7 ნოემბრიდან, თანახმად მისი თხოვნისა.

დამფუძნებელ კრების წევრს გრიგოლ ტიმოთის ძე გიორგაძეს.

7 ნოემბერი, 1920 წ., № 5538.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების თანახმად თქვენ დანიშნული ხართ ბათუმის ოლქში მთავრობის საგანგებო რწმუნებულად გენერალ-გუბერნატორის უფლებებით ოლქისა და ქალაქ ბათუმის საქმეთა სამმართველოდ. ყველა სამოქალაქო თანამდებობათა პირნი

ვალდებული არიან შეისრულონ ყველა თქვენი კანონიერი მოთხოვნები განკარგულებანი.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორდანი.

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

1 ნოემბერი, 1920 წ., № 38.

ინიშნება: მოქალაქე შალვა გიორგის ძე ნაცვლიშვილი საქართველოს სენატთან არსებული საკლდეციკლო განყოფილების შიკრიკად 1920 წლის ნოემბრის 1-დან საქართველოს სენატის თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

5 ნოემბერი, 1920 წ., № 109.

დეკლარაცია: ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსის თანაშემწეს ალ. მ. მიქაძეს ბათუმის საბაჟოში გამგის თანამდებობის ასრულება ა. წ. ნოემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მაგიერ ნ. ავალიანი.

იუსტიციის მინისტრისა.

8 ნოემბერი, 1920 წ., № 403.

განთავისუფლებულ იქნას: იუსტიციის სამინისტროში მუშაობისაგან და დაუბრუნდეს თავის მოვალეობის აღსრულებას სამინისტროში მივლინებულ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძე ა. წ. ნოემბრის 8-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

4 ნოემბერი, 1920 წ., № 398.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის ხაზინადრის თანაშემწე არჩილ კონსტანტინეს ძე ბალახაძე ა. წ. ნოემბრის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორის მაგი. ივ. ბერიაშვილი.

მიწათმოქმედების მინისტრისა

7 ოქტომბერი 1920 წ., № 357.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: კანცელარიის დირექტორი გ. ს. ბერიძე ყალბი ცნობების შეგნებულად მოწოდებისათვის ა. წ. 1 ოქტომბრიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლად.

მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერტი.

მთავრობის საქმეთა მმართველისა.

№ 33.

ვალენტინა ნესტორის ასული ცხვირაშვილი დაინიშნოს მთავრობის საქმეთა სამმართველოს მმართველად მანქანაზე მომუშავეთ ა. წ. 6 ნოემბრიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი ჯაფარიძე.

ახა ოფიციალური განაცხადება.

ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

ნოემბრის 10 დაგზარული შეხულებიდან და შეუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას. დღიდან ჩემი მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი გენერალი ოდიშელიძე თავის პირდაპირ მოვალეობის ასრულებას დაუბრუნდა.

გენერალური შტაბის აგვან

გენერალური შტაბი თანახმად მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებისა აცხადებს:

- 1) მობილიზაციის დროს დატყვებული ყოველგვარი შეღავათი და გაწვეულ უნდა იქნას სამობილიზაციო წლებში დაბადებულნი ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცი, მიუხედავად მათ სამოქალაქო თანამდებობისა.
- 2) სამობილიზაციო წლებში დაბადებულნი სამხედრო ერთეულებ დაწესებულებებში და აგრეთვე სახალხო გვარდიაში ნებით დაქირავებულნი მოსამსახურენი ვადირიცხონ ნაწილად სამსახურში თანახმად მოლაშქრე და სათადარიგო ჯარისკაცთა გასაწვევ დასტურლამის 15 მუხლისა თავიანთ თანამდებობის დატოვებით მხოლოდ 20 ნოემბრამდის და მაშინ კი მაინც დაუტყუებლად გაიგზავნონ სამხედრო ერთეულებში.
- 3) აგრეთვე 20 ნოემბრამდის გამოცხადების ვადა მიეცეს სამაზრო, სამოქალაქო და რკინის გზის მილიციონერებსა და ქალაქ ტფილისის თვითმართველობის გამგეობის იმ წევრებს, რომლებსაც აბარია სამხედრო განყოფილებები და ამ განყოფილებათა საქმის მწარმოებლებს, რის შემდეგ ისინიც უნდა გაიგზავნონ სამხედრო ერთეულებში.
- 4) კატეგორიულად ებრძანება რესპუბლიკის ყველა სამხედრო სამოქალაქო და საზოგადო დაწესებულებათა უფროსებს შესწავილან ამა, თუ იმ გასაწვევებზე გამოცხადების ვადის ვაგრძელდების შესახებ ყოველგვარ შეამდგომლობათა აღძვრა და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ისინი მიმღებ კომისიაში გამოსაცხადებლად.

კიდევ პროვოკაცია

საქართველოს მთავრობამ იმ თავითვე მიზნად დაისახა ამიერ-კავკასიის ერთა შორის მტკიცე სოლიდარობისა და კეთილშეგობლობის განმტკიცება; ეს იმიტომაც, რომ მას კარგად სწამდა, ამ ერთა უმეტესობა თუ ბედნიერება ერთმანეთთან უპირობოდ არის დაკავშირებული. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ როდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა კონფერენციის მოწვევით. თუ სხვა საშუალებით, მაგრამ აი იქნა დღემდე ეს მაინც არ მოხერხდა, საერთო ენის გამოხატვა შეუძლებელი შეიქმნა, რადგანაც ჩვენ მეზობელ ერთა სამიხედრებულებების დიპლომატიური სიტყვით აქ სხვას ამბობდენ საქმით კი თავიანთ ხალხში სულ სხვანაირ, უკუღმართ პოლიტიკას აწარმოებდენ ჩვენს წინააღმდეგ; რასაც მოყვა ძალიან მწვავე შედეგები; მაგრამ გვეგონა ასეთ მწარე ვაკეეთილების შემდეგ სომხის დიპლომატია, რომელიც საზღვარ გარეთ იღვწის ვითომდა სომხეთის კეთილდღეობისათვის, კეჟას ისწავლიდა, შეაჩერებდა საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციულ ბოლომის ნთხევას, მაგრამ ამოდ; აი ამის დასამტკიცებლად პარიზის ფრანგული გაზეთი „ლია პრესს-დე სუარ“ რას სწერს სხვათა შორის თავის მოწინავე წერილში საქართველოს შესახებ:

საქართველოს ახლავარდა რესპუბლიკის ჯარმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დროს თავისი მოკავშირე სომხეთი, პარტოდ მარტო დასტოვა მტრის ხელში. კედევ ქვეით გაზეთს მოყავს კავკასიიდან ახლად დაბრუნებულ კომპეტენტური (?) პირის მიერ შემდეგი ნაშრომი:

ავისტოს დასასრულს, როდესაც კავკასიის მწვერვალებს შავი ღრუბლები დაადგა და როდესაც სომხები უთანასწორო ომს აწარმოებდენ ბალშევიკებისა და ოსმალების წინააღმდეგ ყარაბაღ-ზანგეზურის რაიონში და როდესაც წითელმა ლაშქარმა მოინდომა მოწინავე ფრონტებზე გამაგრებულ სომხებს ზღვრის ფრონტისკენ მოქცეოდა საქართველოს ტერიტორიაზე გავლით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ნეიტრალიტის დაცვის

მაგივრად წითელ ლაშქარს გზა გაუხსნა. არა მარტო წითელ არმიებთან ბრძოლაში ლალატობდნენ ქართველები სომხებს, არამედ ქემალისტებთან ბრძოლაშიც საქართველო სომხეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა.

ცხადია, ეს კომპეტენტური პირი სომხეთის პლუტოკრატიის იმ ერთადგანი იქნებოდა, რომელიც ასე „მოღვაწეობს“ სომხეთის კეთილდღეობისათვის, წამდვილად კი წამდვილდათფურ სამხატვრო უწყის მას და ასინებს ერთი შეორეზე საქართველოს და სომხეთის დემოკრატიას. ასეთი პროვოკაცია არა ახალია, ძველია, ჩვენ მას კარგად შევიჩვიეთ და ვიცით მისი ფასი, მაგრამ მაინც ვერ გავიგია ასეთი შხამის ნახევა იმ დროსაც კი, როცა სომხის ერთი დღეს უსაშინელეს ტრადიციის განიცდის, როდესაც სწყდება სომხეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ამაზე შორს უტიფრობა, დიპლომატიური სიბეცე ვერასოდეს წავა.

ამ სამი წლის განმავლობაში, საქართველო არა ერთხელ ყოფილა მიტოვებული იმ საერთო შტერთან ბრძოლაში, რომელიც განადგურებას უჭადდა არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთსაც; გავიხსენოთ თუ გინდ იმავე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რასაც შედეგად მოყვა 1918 წელს ბათუმის ტრადილია.

ან რაში გამოიხატება სომხეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება, როცა ის ქემალისტებთან ბრძოლაში აწარმოებდა? ცოტაოდენი ყალბი საბუთი მაინც ხომ პროვოკაციისათვისაც საჭიროა? აი როგორ აცნობენ ეს ვაჭარბანები ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებას საქართველო-სომხეთის დამოკიდებულებას, მაგრამ დღეს ანგარიშების დრო არ არის, პირადი ანგარიშები ქართველ ერს და მის მთავრობას გაჭირების დროს არ სჩვევია, დე, ისტორიამ გადასჭრას სამართალი, ის იტყვის პირობებზე და მიუღწევად სიტყვას; ამ ჟამად კი ჩვენს სიმპატიას მაინც მიპყრობილი სომხეთის მშრომელ კლასისაკენ, რომელიც დღეს სისხლიდან იცლება.

მდგომარეობა სომხეთში

ერევანი.

„არაჩი“ ასე ასურათებს სომხეთის შინაურ მდგომარეობას: მთელი რესპუბლიკა გადაქცეულა შეიარაღებულ ბანაკათ. ჯარი იგზავნება ფრონტებზე. ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია ცდლობს მთელი ძალ-ღონით დახმარება გაუწიოს მთავრობას. მტერი შეუპოვარი და დაუნდობელია. მთავრობის განკარგულებით გამოცხადებულია ახალი მობილიზაცია. მთავრობის მიმართვე სისურველ შედგეს მიღწეა. ჯარში ეწვერება მრავალი მოხუცი. მტერის ვასაღწეაო საქროა მთლიანი ეროვნული ჯარი, მომავალში სომხეთი თავის არსებობის უზრუნველ საყრდენი უნდა შეიქნეს მკაცრი და დაუნდობელი. ჯერ კიდევ დიდხანს სომხეთი უნდა იქნეს გადაქცეული შეიარაღებული ბანაკათ. ეს ატყულებელია, წინააღმდეგ შეთხვევაში სომხეთი გადამიქცევა მხოლოდ უბრალო გეოგრაფულ ტერმინათ, რომელიც საინტერესო იქნება მხოლოდ მომავალ ისტორიკოსებისთვის.

საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპუტატთა სააგენტოს ცნობები).

საფრანგეთის მემადაროეთა უღვიძრობა.

საფრანგეთი მემადაროეთა საერთო გაფიცვის საშიშროების წინ იმყოფება მემადაროეთა ფედერაციამ მთავრობის ხელფასის მომატების პროექტი წარუდგინა. მ. ლ. როგორც მესაკუთრეთა ასოციაციამ კატეგორიული უარი განაცხადა მუშების მოთხოვნებზე. მუშებმა ამ ჟამად ულტიმატუმს წარადგინეს. თუ მუშების მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული, ისინი გზაფარცვით იმუქრებიან.

„ბრძოლა თეთრ ტერორთან“.

ვინაიდან ირლანდიაში თეთრი ტერორი კვლავ მძინვარებს, ამიტომ დაარსდა საგანგებო კომიტეტი, რომლის მიზანსაც შეადგენს აიძულოს ბრიტანეთის მთავრობა ხელი აიღოს მის პოლიტიკაზე.

სამაჟორაო ცნობა.

ყირიმის ფრონტზე პერეკოპის რაიონში, ჩვენმა წაწილებმა ძლიერ მოპირდაპირის ძლიერი წინააღმდეგობა და დიკავს მისი გამაგრებული პოზიციები პერეკოპთან, და-

კავეს აგრეთვე სომხების ბაზარი ტ. კარად. შინაი. დროზდოვას დივიზიონიდან ჩვენ 600 კაცი დაგვწყება. ხელთ ვივადეთ 4 ზარბაზანი.

ავღანისტანის მისაღწევა.

საბჭოთა რუსეთში მყოფმა ავღანისტანის სრულყოფილმა ელჩმა მუჰამედ ვალიუხანმა ამხ. ჩიჩერინს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: ღრმადპატივცემულო მოქალაქე ჩიჩერინო. კომუნისტურ რევოლუციის სამი წლის თავზე ავღანის ტანის მთავრობა მთელი შემადგენლობით მხურვალე საღამს უძღვის საბჭოთა რუსეთის მთავრობას და თქვენ და გიგზავნით გულწრფელ სურვილებს იყვეთ გამარჯვებულნი ყველა საქმეში რუსეთის მშრომელ ხალხთა საკეთილდღეობით.

პ. პ. გეგეჭკორი მილიტანტი.

საფრანგეთის ოფიცარი „Temp“ - ი შედეგს იტყობინება ევ. პ. გეგეჭკორის საფრანგეთის პრეზიდენტის მილიტანტთან მიღების შესახებ: „რესპუბლიკის პრეზიდენტი ზმამილო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიკეთავადგომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი ევ. პ. გეგეჭკორი, რომელმაც განაცხადა: ქართველი ხალხი ენდობა საფრანგეთის ისტორიულ ტრადიციას და იმედიც აქვს, რომ საფრანგეთში საქართველო ჰპოვებს თავის დამოუკიდებლობის მკაცრ დამცველს. მრავალ საუკუნის განმავლობაში, საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის იდგა აზიის კარების წინ და თავისუფლად გადაჭრდა ყოველი მტრის შემოსევა და ამით საქართველო წარმოადგენდა მკაცრ სიმამრებს დასავლეთ ცივილიზაციისთვის. საქართველოს თავისი თვლი ყოველთვის ევროპისკენ ეჭარა და მისი სურვილი იყო ევროპის კულტურასთან შეერთება. ამ მიზნით საქართველომ ამ ერთ საუკუნის წინად თავისი ბედ-იღბალი დაუკავშირა რუსეთს.“

უკანასკნელად მომხდარ ამბებმა, საქართველოს საშუალება მისცა ევროპასთან დაახლოების. დაიბრუნა რა თავისი თავისუფლება, ჩვენმა ხალხმა არამც თუ მარტო — დამოუკიდებლობა აღიარა, რომელიც მხოლოდ თავის საქუთარ ძალაზე დაეყრდნო, არამედ თაქტიურადც განახორციელა და შექმნა დემოკრატიული სახელმწიფო სოლიდარულ და ანონირი უფლებებზე დამყარებული. საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობა არაერთი საფრთხის არ წარმოადგენს იმ მეზობელ ხალხისთვის, რომელთანაც უნდა საუკეთესო განწყობილება შექმნას. ესეთი მიზანი საფრანგეთის ინტერესებისთვის არავითარ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს. თუმც საქართველო ცნობილია de facto-დ, მაგრამ საერთაშორისო ინდივიდუალობის სისტრულისთვის მას ავლია de iure-ს ცნობა. ეს გარემოება ჩვენ სახელმწიფო ორგანიზმისთვის საგრძობელია და ხელს უშლის ევროპასთან ეკონომიურ სოლიდარულ კავშირის დამყარებას.

ჩვენ ხალხს მტკიცეთ სწავს, რომ საფრანგეთი de iure-ს საკითხში საქართველოს დაცვას. მილიტანტმა დაარწმუნა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომ საქართველოს საფრანგეთი დიდი სიმპატიით უყურებს და იგი ყოველგვარად ეცდება საქართველოს გაუფიცოს დახმარება. პრეზიდენტმა დაუმატა, რომ საფრანგეთის მთავრობა თვალყურს ადევნებს იმ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოს განსამუშევრებლად. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის, იურიდიულად ცნობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი ამ საკითხს სიმპატიით უყურებს და მისი დადებითი გადაწყვეტის საქართველოს იმედს უნდა ჰქონდეს.“

დამეგობრებული კრება

9 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. დოლოთიძე. კრება ისქვის პრეზიდენტი შემოსულ დეპუტატ ნ. ნიკოლაძის განცხადებას იმას შესახებ, რომ იგი თავს ანებებს დამფუძნებელ კრების წევრობას მისი სხვა თანამდებობაზე დანიშნვის გამო. მის ალგას საარჩევნო კანონის ძალით დაიკავებს შემდეგი კანდიდატი ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა — შალ. ამარჯუბი.

საგარეო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს დეპუტატი ა. ჩხენკელი იმ წინადადების შესახებ, რომელიც დამფ. კრების პრე-

ზიდენტიში შემოტანილი ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ და რომელიც შეეხება 15 ნოემბრისათვის შენევაში მოწვეულ ხალხთა ლიგის კონგრესზე საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელის გაგზავნას. წინადადების აზრი იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს დელეგატები დაესწრონ 15 ნოემბრის ხალხთა ლიგის პირველ სხდომაზე და შეამდგომლობა აღძრან საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში წევრთა მატების შესახებ. წინადადების გარჩევის დროს საგარეო კომისიის სხდომას დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი — კ. საბაზარია. შვილი, რომელმაც ვაანო კომისიას, რომ მთავრობას ამ მხრივ უკვე გადაუდგამს შესაფერი ნაბიჯები. ადრევე იმავე საკითხის შესახებ ხალხთა ლიგის სეკრეტარიატის წინაშე აღუძრავს შეამდგომლობა ჩვენი რესპუბლიკის პარტიის სახელი დელეგაციას. აღნიშნულ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ საგარეო კომისიამ გადაწყვიტა მოხსნას შემოტანილი წინადადება. ხოლო თავის მხრივ კომისიამ იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ავალებს მთავრობას ენერგულად განაგრძოს დაწყებული მუშაობა, რათა საქართველო მიღებულ იქნეს ერთა ლიგაში, როგორც მისი სრულყოფილი წევრი.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. საბაზარია შვილი აცნობს კრებას, თუ რა ზომები მიიღო მთავრობამ აღნიშნულ საკითხის მოსაგებებლად. ამ საქმის შესახებ პირველად შეამდგომლობა აღძრა ერთა ლიგის სეკრეტარიატის წინაშე რესპუბლიკის პარტიის სახელი დელეგაციამ. ამის შედეგად მთავრობამ 30 სექტემბერს სეკრეტარიატისაგან მიიღო პირველი წერილი, სადაც იგი ითხოვდა მასალებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. მთავრობამ ამის საპასუხოდ გადაგზავნა საჭირო დოკუმენტები, რის შემდეგ მან მიიღო სეკრეტარიატისაგან მეორე წერილი 20 ოქტომბერს. ამ წერილში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია ყრილობამ მოისურვოს სახელმწიფოს წარმომადგენლის მოსმენა; ამიტომ საქართველო გაიგზავნოს წარმომადგენელი, ან დაევალოს წარმომადგენლობა საზღვარ გარეთ მყოფ დელეგაციის რომელიმე წევრს. ამის შემდეგ იმ დღესვე ევროპაში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრს — ევ. გეგეჭკორს გაეგზავნა დეპეშა, რომლითაც მას ვალება საქართველოს წარმომადგენლობა ხალხთა ლიგის პირველ ყრილობაზე; მასვე ფოსტით გადაეგზავნა სათანადო მანდატი. ყველაფერი ეს ეცნობა ხალხთა ლიგის სეკრეტარიატს და ეთხოვა, რათა საქართველო იქნეს დამფუძნებელი წევრთა ხალხთა ლიგაში. ორატორი ფიქრობს, რომ საქართველომ მთელი თავისი მოქმედებით უკვე დამოსაბურა ხალხთა ლიგის წევრობის უფლება და იმედს გამოთქვამს, რომ მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება.

ხალხთა ლიგაში შესვლის წინააღმდეგ ილაშქრებს დეპუტ. ლ. შენგულაია (ს. რევ.) იგი ამბობს: ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღარებას დიდ სახელმწიფოების მიერ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს მთელ უმეტეს ჩვენზე ითქმის, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო პატარაა და მას მარტო არსებობა არ შეუძლია. მაგრამ სხვა საკითხი ლიგაში შესვლის შესახებ. რას წარმოადგენს ის ოჯახი, სადაც ჩვენ ვაპირებთ შესვლას? ეს ფრიად სერიოზული კითხვაა და მისი ერთი ხელის მოსმით გადაჭრა, როგორც მას ბ. ჩხენკელი სჩადის, არ შეიძლება. პირველ ყოვლისა შეჩადვენლობა ამ ორგანიზაციის ისეთია, რომ ჩვენთვის არ იქნებოდა სასარგებლო მასში შეესულყოფით. მიზნების მხრივ საერთოდ მისი შინაარსი გამოურკვეველია თვით დამარსებელთათვისაც; ხოლო რამდენადაც გამოკვეთილია მისი მიზნები, — ამის მიხედვით ჩვენ არ უნდა შევიდეთ ამ ოჯახში. მასში უმთავრესათ წევრებათ შედიან გამარჯვებული სახელმწიფოები; არსებობდა ეს ორგანიზაცია არის ახალ ფორმით მოვლინებული კაპიტალისტურ ჩაგვისა და მონღოლის ორგანიზაცია. მას, თითქმის, კარგად მიზნები აქვს დასახული, მაგ. საყოველთაო განიარაღება და სხვ მაგრამ, ორატორის აზრით, ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა; ვინაიდან შეუძლებელია შეიარაღებისა და ომის მოსპობა მანამდე, სანამ კაპიტალისტური წესი, კერძო საკუთრება არსებობს. ლიგა რომ ჩაგვრა-მოაზრეს ორგანიზაცია, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ მასში არ შედის გერმანია, როგორც დამარცხებული სახელმწიფო.

ხეებს რა ლიგის წესდებას, ორატორი ამბობს, რომ ლიგის ყველა დადგენილება სახელმწიფო იქნება ყველა წევრებისთვის.

ამიტომ მას დაუშვებლათ და ავანტიურათაც მიაჩნია საქართველოს შევეწინა ლიგაში, ვინაიდან ამით იგი ვახდება პასხისმგებელი ყველა დადგენილებისა. ამიტომ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს იგი სთვლის არა კანონიერათ და მოითხოვს, რომ ეს საკითხი თუ მაინცა და მაინც დასმული იქნება იგი, ვალდსწყვიტოს თვით ხალხმა, რეფერენდუმის ან სხვა სახით. დასასრულ ორატორი აცხადებს, რომ მისი ფრაქცია წინააღმდეგია ლიგაში შესვლისა და იმ ხარჯებისა, რომელსაც დელეგატების გაგზავნა გამოიწვევს.

შემდეგი ლაპარაკობს გ. გვაზავა და გ. რცხილაძე.

მომხსენებელი ა. ჩხენკელი საპასუხო სიტყვაში ამტკიცებს, რომ ხალხთა ლიგაში შესვლას სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი დამოუკიდებლობისათვის და რომ უმადლესი საბჭო და ხალხთა ლიგა სულ სხვადასხვა ორგანიზაციებია. ორატორი ენება ჩვენი წარმომადგენლების მუშაობას ინტერნაციონალიში და სურვილს გამოთქვამს, რომ საქართველოს წარმომადგენლების მუშაობა ხალხთა ლიგაში ისეთივე ნაყოფიერი ყოფილიყოს, როგორც ინტერნაციონალიში.

მომხსენებელმა საგარეო კომისიის სახელით წარმოადგინა შემდეგი ფორმულა:

„დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ და ავალებს მთავრობას მომავალშიც განაგრძოს ამ მხრივ სათანადო მუშაობა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიღებულ იქნეს სრულ უფლებიან წევრთა ხალხთა ლიგაში.“

ფორმულა მიღებულ იქნა ერთხმით სოც. რევოლუციონერთა ფრაქციის ხმების წინააღმდეგ.

საბიუჯეტო საფინანსო კომისიის წარმომადგენლის ნ. იმნიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს სახელმწიფო ბანკის მუშა-მოსამსახურებზე 1920 წლის აგვისტოს 16-ს დეკრეტის მოქმედების გავრცელებისა.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა მთავრობის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესახებათ 1920-1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით სათანადო თანხის გადაღებისა.

მთავრობაში.

მისაღმება ენწელიდან.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ენწელიდან მოვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა: ს. დ. ორგანიზაციისა და საბჭოთა კრება ესალმება საქართველოს მთავრობას და ალუთქვამს მას ენერგულ დახმარებას. რესპუბლიკის ინტერესების დაცვაში.

მობილიზაციისთვის.

დუშეთიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ასეთი შინაარსის დეპეშა მოსული: დუშეთის მაზრის ერობის ხმასთანა მიეჭეს ყრილობამ მოისმინა დეპეშა მობილიზაციის შესახებ, რომელიც გამოწვეულია ქემალფაშის მიერ ყარსის აღებით და დადგინა მიიღოს ყოველი ღონისძიება მობილიზაციის სასწრაფო გასატარებლად. დუშეთის მაზრის დემოკრატიული გულრწფელ საღამს უძღვის მთავრობას, რომელმაც სამშობლოს საკეთილდღეობად უნდა განაგრძოს თავისი მუშაობა. დემოკრატიის ბრწყინვალე ბელადმა მთავრობის თავმჯდომარემ დე განაგრძოს თავისი მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეობით. ყრილობის თავმჯდომარე ჩხეიძე.

ახალი აგებუი

სახურხათო ბარათები. ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილება იუწყება: სასურსათო მალაზეში მ. ხოვრევათათვის ბარათების დარიგების საქმე ინტენსიურად მიმდინარეობს. ბ. ბარათების დარიგებას საჭირო ფორმულების აუსრულელობის გამო დიდი დაბრკოლებანი ეღობება. ამიტომ სასურსათო განყოფილება სთხოვს მკხოვრებლებს დაწერილით გაეცნონ განყოფილების განცხადებებს, რომლებიც ნოემბრის 6 და 7 გაზთებში დაიბეჭდა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გამოუშვა მორიგი სავაჭრო ბიულეტენი. ბიულეტენში აღნიშნული ფასები ააშკარავენ, რომ ზოგიერთ საქონლის ფასები დაცემულა. ფასის დაცემის ტენდენცია განსაკუთრებით ტყავის საქონელს მტკიც-

ბა. ამასთანავე ქალაქის ფასმა ძლიერ აიწია. გაწმენდილ ბაზრის ფასი 12 ათასიდან 11 და 10 ათასამდე დაცა. აიწია ფქვილის სიმინის და ლობიოს ფასმა.

ხადი ში. გუჯარული. ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო კანტროლმა მოიწონა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენება მდ. გუჯარულზე (ოზ. მახ.) ხიდის გაკეთების შესახებ. ამ ხიდის გასაკეთებლად გამოთხოვილია 954 ათასი მან. სათანადო პროექტი მთავრობას წარედგინა გმნახილველად.

იტალიის მიზანში. იტალიის მისიას აუწყებენ, რომ ამ დღეებში ერევნიდან ტფილისში ჩამოვა სომხეთში მყოფი იტალიის წარმომადგენელი ვარინი.

ხეხიის გამგზავრება. ნოემბრის 13 ბათუმის მიემგზავრება სასამართლო პალატის დეპარტამენტის სისხლის სამართლის სესია გელოვანის თავმჯდომარეობით და წევრების სარაჯევისა და წაფრევიძის მონაწილეობით. სესიის სხდომები ნოემბრის 22 გასტანს.

შუამდგომლობა. ჰეროდრომის მუშებმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს სულზე ორ ვირვ. პურის მიკუმის შესახებ. ეს შუამდგომლობა გადაეცა შრომის სამინისტროს, რომელმაც ჰეროდრომის მუშებს აცნობა, რომ მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება რესპუბლიკის სურსათის მხრივ ვაკეირების გამო შეუძლებელია.

მოხილიზაცია. ბრწყინვალედ ტარდება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ გამოცხადებული მთელს რესპუბლიკაში მოხილიზაცია ათი დღის ვადით განმეორებითი სამწყობრო მექანიზმებისათვის. სახალხო გვარდია უნდა შეკრებილიყო ნოემბრის 8. როგორც მთავარ შტაბს ატყობინებენ ყველა ოლქიდან მოხილიზაცია მთელს რესპუბლიკაში ბრწყინვალედ ჩატარებულა. ორი დღის განმავლობაში მთავარი შტაბის ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი და მთელი გვარდია ფეხზე დადგა. მექანიზმთა სწავროვებს.

შეშთა კანონმდებლობის საკითხი. საბჭოს კრებაზე ნოემბრის 9 დადგინდა შეადგინოს კომისია მუშათა კანონმდებლობის საკითხების შესამუშავებლად. საქართველოს პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელად სავრთაშორისო პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე აირჩიეს ი. წერეთელი და ნ. ჩხეიძე. აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა ტფილისში იაფ ფასიანი სახელოვების მოწყობა. კომისიაში გაგზავნეს ცენტრად, მ. ლორთქიფანიძე და ვაჭარაძე. ეს კომისია შეადგინა ქალაქის გამგეობამ საკოოპერაციო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსტვეა სურვილი, რომ ასეთი სახელოვები პირველ რიგში მუშათა უბნებში გაიხსნას.

კარლ კაუცი კრინის გზელებთან. ნოემბრის 8 კარლ კაუცი მუდღეობით ესტუმრა კრინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალურ სამართავლოს, სადაც დაწვრილებით გაეცნო კავშირის საქმეებს და კრინის გზელების რედაქციას. შემდეგ კ. კაუცი მთავარი სახელოსნო და პლენარის სახელობის კლუბი დაათვალიერა.

სოციალური დახმარება. ტფილისის ქალაქის გამგეობასთან არსებული სოციალური დახმარების განყოფილება ამით აცხადებს, რომ შრომის სამინისტროდან მიღებულია ამა წლის ოქტომბრის ხვედრი დახმარება. რადგანაც პენსიონერთა რიცხვი დიდია, განყოფილება სთხოვს მათ მოზრძანდნ ფულის მისაღებად ამ რიგზე: 12 ნოემბრის ვისი გვარიც იწყება: ა, ბ და გ-ზე; 13, დ, მ, ვ, ზ, თ, ი და კ-ზე; 15, ლ, მ, ნ, ო, პ და ჟ-ზე და 16 დანარჩენ ასობებზე. ყველანი მოზრძანდნ წინააღმდეგობით სოციალური დახმარების განყოფილებაში დღის ათ საათიდან.

გაჯლიის მოწოდება

ბათუმის ოლქში ქიამალისტების მიერ გავრცელებული პროკლამაციებისა და თურქოფილური მოძრაობის გამო მეჯლისმა ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ მუსლიმანებს მიმართა შემდეგი მოწოდებით: ჩვენთა ძვირფასი მამულიშვილნი, შრომანენო, რას გეუბნებთ თქვენი ნების გამოხატვლით მეჯლისმა: სამუსლიმანო საქართველოს ფრიად გაუმრავლდნ ათასი უპასუხისმგებლო პიროვნებანი, რომელნიც ადევნებენ ხალხს და ათასი ცრუ აღთქმებით ჰხიბლავენ, რა არის, ყველას თვალემა აუხვიონ და არეგდარევა შეიტანონ თქვენში. თქვენ შეგასმინეს და გასმენენ კიდევ, ვითომც საქართველოს მთავრობა მტერია თქვე-

ნი. ვითომც საქართველოს მთავრობა ვიუქმებდეთ სკოლებს და რწმენის გულს მახვილით გვიმარავდნენ!

მამულიშვილნი, ვისაც სჯერა ასეთი სიტყვა, ის ყოვლად დაბნელებული იქნება! ნუ თუ დიდი წარსულის შვილებს, სახელოვან მამა-პაპათა შთამომავლებს შეგშენით ასეთ შხამიან სიტყვებს დაუჯეროთ, რასაც ბოროტი და ჩვენი ერის მტრები ანთხევენ?

მამულიშვილნი! თქვენ მიერ არჩეული და თქვენი უზენაესი სურვილების მატარებელი მეჯლისი ღვთისა და ქვეყნის წინაშე ფიცით ამოწმებს, რომ სტყუის, ვინც აგრე ამბობს, ის უთუოდ ხალხის მტერია!

მამულიშვილნი! ჩვენ გიგზავნით ჩვენს მოციქულებს და გახარებთ სასიხარულო ამბავს, რომ საქართველოს მთავრობამ რაც გვითხრა, რასაც დაგვირდა იმ თავითვე, კიდევ ხელმტკიცედ აგვისრულებს: სამუსლიმანო საქართველოს გვეძლევა ავტონომია, რაც უკვე აღნიშნულია დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად განმზადებულ კონსტიტუციის მე-120 მუხლში.

ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვამოწმებთ, რომ სამუსლიმანო საქართველოსთვის ეს სიტყვა—„ავტონომია“ არაა ცარიელი სიტყვა, რომ მეჯლისიც და სრულიად საქართველოს მთავრობაც მალე შეუდგება მთავარი გვემის შედგენას, თუ რა სახით და როგორი უნდა იყოს ჩვენი ავტონომია!

მამულიშვილნი! ჩვენ გვკონია, რომ ამ დიდ სიხარულს თქვენც სიხარულით მიიღებთ და ყველა ჩვენს მტრებს ფრთებს შეგვეკვავთ, რომ შეცდომით არ შეგვეყვანონ!

გახსოვდეთ მარად, რომ თქვენ მარტანი არა ხართ, რომ თქვენ გყავთ უზენაესი მფარველი თქვენი, მეჯლისი, რომელიც პასუხისმგებელი იყო და იქნება ყოველს თქვენს ბედნიერებასა და უბედურობისა!

გახსოვდეთ, რომ ჩვენი ძმა ქრისტიანები მზათ არიან ჩვენი ქირი და ლხინი ჩვენთან ერთად გაიზიარონ!

მაშ ფრთხილად, მამულიშვილნი! ღმერთი ჩვენთანა და საზოგადო ვაკიროვებიდან, რომელიც ერთიანად ვაჭუბებს ჩვენს, მუსლიმანებს, და იმითაც, ჩვენს ქრისტიან ძმებს, ის გამოგვიყვანს, არ გავწვირავს, როგორც არ გავწვირა საუკუნეთა განმავლობაში!

მაშ ჩვენთან, მამულიშვილნი! ისმინეთ მეჯლისის სიტყვა და დარჩება!

ნუ ენდობთ ცრუ და აბოლელებელ ხმებს! გახსოვდეთ, რომ ყოველი არეულობა, ყოველი უგუნურად გადადგმული ნაბიჯი სახელს გაგიტეხავთ თქვენც, თქვენს მეჯლისსაც და რაც უარსია, ეს გამოიწვევს არეულ დარეულობას და ისეთს შიმშილსა და სიღატაკს, რომ დღევანდელი გაჭირვებაც კი სანატრელი გავიხდეს!

ღმერთი და კეთილგონიერება იყოს თქვენი მფარველი და წინამძღოლი, ჩვენთ ძვირფასო მამულიშვილნი!

სამუსლიმანო საქართველო მეჯლისი. (გაზ. „სამუსლ. საქ.“).

შინაგან საქმ. სამინისტროში

შინაგან საქმ. სამინისტროში
შინაგან საქმეთა სამინისტროს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
ნოემბრის შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მოსამსახურეთა საერთო კრება შედგა. კრება მოწვეული იყო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის მთავარ გამგეობის ინიციატივით. კრებამ მოისმინა მთავარ გამგეობის წარმომადგენლის ქელბაქიანის მოხსენება/მოსამსახურეთა საერთო მდგომარეობის და ორგანიზაციის საქორგების შესახებ და დაადგინა: შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენებები ტფილისის სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წარმომადგენლებისა შრომის კანონის შესახებ და გაითვალისწინა რა ის, რომ შრომის ხელშეკრულება არა ვრცელდება სახელმწიფო მოსამსახურეებზე და ეს დედგომარეობა აშორებს მათ მუშათა კლასს, დაადგინა: წინადადება მეჯლის ცენტრალურ კავშირის გამგეობას ყოველივე ღონისძიება მიიღოს, რათა შრომის კანონი გავრცელებულ იქნეს სახელმწიფო მოსამსახურეებზე ისე, როგორც მუშათა კლასზე. ამის მისაღწევად კრება აღუთქვამს გამგეობას, რომ ყოველივე მასთან იქნება და ყოველივე მათ გამოძახილს მხარს დაუჭერს.

შინაგან-მოქალაქის სამინისტროში

მანქანების და იარაღების მუზეუმი.
სპეციალისტ ვოლპერის მოხსენების თანა-

ხმად მიწად-მოქმ. სამინისტროს სასურველად მიიჩნია დააარსოს სასოფლო-სამეურნეო იარაღთა და მანქანების მუზეუმი. ამ მუზეუმს სამოსწავლო მიზანი ექნება და აგრეთვე იარაღების მოწყობის და გამოყენების ცოდნის გავრცელება მცხოვრებთა შორის. მუზეუმი მოთავსებული იქნება ყოფილ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუზეუმის მოსაწყობად გაღებულ იქნება მიწად-მოქმედების სამინისტროს საოპერაციო თანხიდან 50.000 მანეთი.

მონაპოლიის გავლენა მეურნეობაზე.

მიწად-მოქმედების სამინისტროს საკრებულში იქონია რა შესჯელობა მონაპოლიის მეურნეობის სხვა და სხვა დარგზე გავლენის შესახებ, აღნიშნავს, რომ მონაპოლიამ უარყოფითი გავლენა იქონია მეურნეობაზე. ამის უმთავრესი მიზეზები არის მონაპოლიის ტენიკური ცხოვრებაში გატარების უარყოფითი მხარეები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლის საშუალებითაც ტარდება მონაპოლია აბრკოლებენ საქმეს. საკითხის ყოველ მხრივ გასაშუქებლად წინადადება მიეცა საკრებულოს წარმომადგენელ მეურნეობის სხვა და სხვა დარგების მდგომარეობის შესახებ მოხსენებები.

ფასების დაწევა ჩაიზე.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ მიიღო რა მხედველობაში წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი გათვალისწინებული ხარჯები ჩაის დასამუშავებლად ისე საკვების დასაბუთებული მ. ახალაის მოხსენება ჩაიზე ფასის მომატების აუცილებლობის შესახებ, დაადგინა ჩაიზე შემდეგი ფასები დააწესონ: უმაღლეს ხარისხის ჩაი გაიყიდება გირვანქა 550 მანეთი; პირველ ხარისხის ჩაიზე—450 მან., მეორე ხარისხზე—400 მ., მესამე ხარისხის ჩაიზე—350 მან.

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ პროფ. კავშ. საბჭოს მდივანს, რკინის გზელთა კავშირის ცენტრ. გამგეობას, სახალხო გვარდიის შტაბს და ქალაქის საბჭოს შემდეგი აცნობა: მუშებისათვის ბინის საკითხის სიმწვაგის შესამსუბუქებლად შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს საბინაო განყოფილების რეკონსტრუქციის შესახებ. ეს განყოფილება უნდა გადაკეთდეს კომიტეტად, რომელსაც შეეღერ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების და შრომის სამინისტროს წარმომადგენლები. კომიტეტს თავმჯდომარეობას გამგეობის წევრი გაუწევს. თავისუფალი ბინები და აგრეთვე ის ბინები, სადაც შესაძლებელი იქნება ჩასახლება, კომიტეტმა მუშებს შორის უნდა გაანაწილოს. ქალაქის საბჭო დაეთანხმა საბინაო განყოფილების გადახალისების ასეთ გეგმას და ზოგიერთი შესწორებანიც შეიტანა შიგ. ამიტომ შრომის სამინისტრო წინადადებას აძლივს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს აირჩიონ წარმომადგენლები, რომლებიც შევლენ საბინაო კომიტეტში მუდმივ წევრად. ამასთანავე უნდა აირჩეს ამ წარმომადგენლების კანდიდატებიც.

ს ე ნ ა ტ ი

სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლოს სხდომაზე 1920 წ. 11 ნოემბრის დღის 10 ს. დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

საქმე № 86. მაგია 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ რაქვენ სარდიონის ძის ნარეშველაშვილისა ტფ. სასამართ. პალატის 1920 წ. 5 მაისის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული დამნაშავეთ არის ცნობილი 1464 მუხ. სასჯ. დებ.

საქმე № 90. მაგია 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ შაქრო დიმიტრის ძე ბეგიაშვილისა ტფილისის საოლქო სასამართლოს 1920 წ. 29 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული დამნაშავედ არის ცნობილი თანახმად 1455 მ. სასჯ. დებ.

საქმე № 72 მაგია 2. საკასაციო საჩივარი ავრაფენა გაბუნისი და ნადედა გოგიაძისა, ქუთაისის სასამართლებლო ოლქის ყრილობის 1920 წ. 29 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი გაბუნისი და გოგიაძე, თანხმით მორპ. მოსამართ. სასჯ. წესს. 130 მ. ცნობილი არიან არიან დამნაშავეთ და მესჯილი აქვთ სპატიმრო სახლში 4 დღით დაპატიმრება.

საქმე № 133 მაგია 1. საკასაციო პროტესტი პროკურორის ამხანაგის შოთა დადიანის ტფილისის ოლქის სასამართლოს 1920 წ. სექტემბრის 4 განაჩენზე, გამოტანილ ბრალ-

დებულ იოსებ ტინკოვსკის შესახებ გათვალისწ. მე-2 ნაწ. 1649 მ. სასჯ. დებ. საქმე № 134 მაგია 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ კალისტრატე იაშვილისა და აკაკი მეძმარიაშვილის დამკვ. ნაფ. ვექ. შალვა სანებლიძის ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1920 წ. 11 ენკნისთვის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი ცნობილი არიან სასჯ. დეა. 1629-1632 მუხ. აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებაში.

წერილი რედაქტორს

პატრიკეზიულო რედაქტორს!

გთხოვთ თქვენს პატრიკეზულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: სამედიტორო სასამართლომ, რომელიც შესდგა თანახმით ქუთაისის გუბ. შრომის კომისრის მოწვევით 1918 წ. 14 იანვრის დეკრეტისა სამტრედიის რაიონის კოაბ. კავშირ. „კონა“ს გამგეობის და ჩვენ შორის ბუბალტურ იონა თოდუას საქმის შესახებ დამნაშავეთ სენო კავშირი „კონა“ს გამგეობა და გამართლა ი. თოდუა, უკანასკნელის უფლებების აღდგენით.

განაჩენი უნდა მოეყვანათ სისრულეში გამოცხადების დღიდანვე, თანახმით განაჩენისავე ერთ-ერთი მუხლისა. მაგრამ მიუხედავით ამისა მეორე დღეს მოდის თოდუა ჩვენთან საბჭოში და აცხადებს, გამგეობამ არ დამაშვა სამსახურშიო. ჩვენ გავაკვირვა გამოვიბის ასეთ საქციელმა და გავაჭანეთ ოფიციალური მიწერილობა თოდუას, რათა სასამართლოს მიერ გამართლებული კაცი დაეშვათ სამსახურში, მაგრამ უარით იქნა გამოხატული და, მეორე დღეს 29 ოქტომბრის ვლემულომ გამგეობისგან მოწერილობას, სადაც ისინი იმუქრებოდნ თავის თანამდებობიდან გადადგომით რის შესახებ თურმე ადრევე გამოეტანათ დადგენილება.

ავანსათ ასეთი დადგენილების გამო ჯანით მათ უნდოდათ ერთგვარი გავლენა მოეხდინათ საქმის პროცესზე.

თუ გამგეობა გადადგება, კრება აღზად სხვის აირჩევს მის მაგიერ, მაგრამ, რა უფლება ქონდა გამგეობას შეეჩერებია მისთვის სავალდებულო დადგენილება (თანახმად შრ. კომისრის მოწვევით), საზოგადო კრების მოწვევებდუ მაინც ეს ჩვენ მაგვიჩნია დაუშვებელ სიჯიუტეთ რაც უღრის თავისი „მე“ს კანონზე მალა დაყენებას რაზედაც გამგეობამ აუცილებლად პასუხი უნდა აგოს. სამჩრედ. რაიონის კოაბ. თანამშრომლების პროფ. კავშირის თავმჯდომარე კ. რუსია. მდივანი ი. გვიკია.

ნამდვილზე აწერია: „ვატკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალე ი. ბის აღმასრულებელი“
ბ. ავალიანი.

წესდება

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ხმრეწველო ბანკისა.

III. მმართველობა.

§ 38. გამგეობა მართავს სხდომას საჭიროებისამებრ, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც-რათა გამგეობის გადაწყვეტილებას ძალა ქონდეს, საჭიროა კრებას სამი წევრი დაესწროს. გადაწყვეტილება უნდა დადგენილ იქნას უბრალო ხმის უმეტესობით, გარდა იმ საქმეთა, რომელიც აღნიშნულია ამ წესდების § 13 და ამ მუხლების შენიშვნაში და § 25. თუ ხმათა რიცხვი შუაზე გაიყო თავმჯდომარის ხმას უპირატესობა ეძლევა. ხლო თუ არა ორად, არამედ მეტ ნაწილად აზრი წევრთა გაიყო და არც ერთ აზრს უმეტესობა ხმათა არ მიეკედლა, მაშინ ის საქმე, რომელმაც გამოიწვია ასეთი სხვა და სხვაობა აზრთა, საბჭოს გადასწყვეტად გადაეცემა.

გამგეობის სხდომაზე აღდგენენ ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე წევრნი:

- § 39. გამგეობა იბარებს დამფუძნებელთაგან დაფარების და აქციების შესახებ შეტანილ ფულს და შემდეგ, როცა ფულის შეტანა დასრულდება, დროებით მოწოდებების მაგიერ აქციონერებს აქციებს აძლევს.
- § 40. გამგეობის მოვალეობას შეადგენს:
 - ა) წარმოება საქცი.ო წიგნისა.
 - ბ) მართვა ბანკის ყოველი საქმისა და თანხისა ამ წესდების ნამდვილ საფუძველზე.
 - გ) მოწყობა საქმის წარპოებისა და მოანგარიშებისა.
 - დ) განწესება და დათხოვნა ბანკის მოხე-

